ბრძანება:**ბ32. 32230162**

თარიღი:**16/01/2023**

მარნეულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახელების საერთო კრებების/რეგისტირებულ ამომრჩეველთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე" და ,,ე.ი" პუნქტის, 85-ე მუხლის მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ'' და ,,თ'' პუნქტის, 85^3 მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ'' და „თ" ქვეპუნქტის, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მე -13 და მე- 15 პუნქტის და „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტები ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის # 564 დადგენილებით დამტკიცებული პირველი მუხლის მე-6 პუნქტის ,, ა'' ქვეპინქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც, რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც, რეგისტრირებული ამომარჩეველების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები ამ ბრძანებით #1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.
2.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურს, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებისა და წარმომადგენლის ასისტენტების განყოფილებას მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში.
3.თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განსაზღვროს დანართის მიხედვით.
4.მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურში და ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09 - დან - 18 - საათამდე, 2023 წლის 02 თებერვლის ჩათვლით პერიოდში.
5. დასახელებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახელებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტე (ებ)ის შერჩევა.
6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირად

განისაზღვრონ:
ა)ბექა აბდელანი (ტელ:555 30 43 63; ელ.ფოსტა: beqaabdelani@gmail.com);
ბ)შალვა აბრამიშვილი (ტელ: 595 64 44 34; ელ.ფოსტა: sh.abramishvili1980@gmail.com);
7.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე და მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილ, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.
8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მერის პირველ მოადგილეს როინ დეკანოიძეს.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას №113), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
10. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

კენან ომაროვი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი